



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 24 აპრილი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19: 00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
4. თამაზ მარსაგიშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
7. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
8. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
9. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"

დამსწრეებმა პირველ საკითხად განიხილეს სამუშაო შეხვედრებზე ჯგუფის წევრების დასწრების საკითხი. თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ წევრების უმეტესობა (ამჟამად მესამე ჯგუფში 28 ორგანიზაციაა გაწევრიანებული) შეხვედრებს არ ესწრება, რაც აფერხებს ჯგუფის მუშაობას და ართულებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. უკვე დადგენილია, რომ ჯგუფის შეხვედრები ტარდება ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს. შესაბამისად, წევრმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ შეხვედრებზე თავიანთი წარმომადგენლების დასწრება.

გადაწყდა, რომ 2013 წლის იანვარ-აპრილის დასწრების სიის შესაბამისად, პასიურ ორგანიზაციებს მიეცემათ გაფრთხილება შეხვედრების გაცდენის გამო.

ამის შემდეგ ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ენერგეტიკის მინისტრის, კახი კალაძის განცხადებაზე, რომელიც მან 2013 წლის 22 აპრილს მეცხრე არხის მიერ მომზადებულ სიუჟეტში გავიდა: „ალბათ ის ადამიანები, სასმენ ორგანოებთან გარკვეული პრობლემები აქვთ, და ვერ იგებენ თუ რა არის ჩვენი ხელისუფლების და მთავრობის მიდგომა, ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენებთ რესურსებს, რომელიც გააჩნია ქვეყანას იმისთვის რომ მივიღოთ ახალი ჰიდროელექტროსადგურები, დამატებითი ელექტროენერჯის წყაროები, გამოყენებული იქნება იმისთვის რომ ქვეყანა იყოს რომ ენერგოდამოუკიდებელი და ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს უახლოეს მომავალში. ეს არის ჩვენთვის ძალიან პრინციპული და ძალიან მნიშვნელოვანი“ ჩვენი ქვეყნის ბედს ვერ გადავწყობთ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას და მათ მიერ რაღაც შეჩერებული პროექტების გამო აღებულ დაფინანსებას, რომელსაც ისინი იღებენ უცხოეთიდან.“

თანაკოორდინატორების ინფორმაციით ამ განცხადებასთან დაკავშირებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ - მ მოამზადა საპასუხო განცხადება, რომელიც ღიაა ხელმოწერისთვის და დაინტერესების შემთხვევაში მსურველებს შეუძლიათ შეუერთდნენ მას:

”გვსურს, გამოვეხმაუროთ ა.წ. 22 აპრილს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ სადამოს საინფორმაციო გადაცემაში გასულ სიუჟეტს, ხუდონჰესის მშენებლობის თაობაზე მიმდინარე დისკუსიის შესახებ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის კახა კალაძის უკიდურესად არაკორექტულმა განცხადებამ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხსენებულ სიუჟეტში ბატონმა კალაძემ ბრძანა: „ჩვენი ქვეყნის ბედს ვერ გადავწყობთ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას და მათ მიერ რაღაც შეჩერებული პროექტების გამო აღებულ დაფინანსებას, რომელსაც ისინი იღებენ უცხოეთიდან.“

პოლიტიკის ფორმულირებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის როლის შესახებ ამგვარი მცდარი წარმოდგენა შემაშფოთებელია, განსაკუთრებით ისეთი მაღალი თანამდებობის პირისგან, როგორც ბატონი კალაძეა, რომელსაც საქართველოს მთავრობაში პირველი ვიცე-პრემიერის პოსტიც უკავია. ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის (ან მისი ერთი ნაწილის) მოსაზრებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და ეს დემოკრატიული მმართველობისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი პროცესია. ამდენად, კატეგორიულად მიუღებელია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ

გამოთქმულ კრიტიკული შენიშვნების საპასუხოდ ამგვარი დაუსაბუთებელი ბრალდებისა და სხვადასხვა შეთქმულების თეორიის მოშველიება. დასაძინია, თუ საქართველოს ხელისუფლება სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობას ასეთი რიტორიკით აპირებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნების დაკავშირება გაურკვეველ ფინანსურ ინტერესებთან მით უფრო უცნაურია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან, რომლის ხელმძღვანელ პირებს ბოლო დრომდე თავად ჰქონდათ კერძო კომერციული ინტერესები ენერგეტიკის სექტორში. საზოგადოებას დღემდე არ მიუღია ცალსახა პასუხი, დათმეს თუ არა მათ რეალურად ეს ინტერესები“.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეებმა იმსჯელეს ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის კომიტეტებთან ერთობლივი შეხვედრის ორგანიზების საკითხზე. თანაკოორდინატორის თქმით, ასეთი შეხვედრის ჩატარების მზაობა არსებობს ორივე კომიტეტის მხრიდან, საჭიროა მხოლოდ მომზადდეს ჯგუფის ოფიციალური წერილი შეხვედრის მოთხოვნით და დღის წესრიგი განსახილველი საკითხებით. შეხვედრის ძირითადი მიზანი იქნება კომიტეტებისთვის მესამე სამუშაო ჯგუფის გაცნობა და კონკრეტულ თემებზე მსჯელობა. შეხვედრის გამართვის სავარაუდო თარიღად არჩეულ იქნება 29 მაისი (საბოლოო თარიღი მოგვიანებით დაზუსტდება).

გადაწყდა, რომ მომზადდება წერილი და დღის წესრიგის სამუშაო ვერსია. ამისთვის მსურველები ორი დღის ვადაში თანაკოორდინატორებს გაუგზავნიან თავიანთი პრეზენტაციების სათაურებს და მოკლე აღწერას. პრეზენტაციების განხილვა მოხდება რიგგარეშე შეხვედრაზე.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია